

სესხის ზოგადი პირობები

ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები.

“ზოგადი პირობები” – ზოგადი პირობები და დანაწესები „გამსესხებლის“ მიერ სესხის გაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დოკუმენტით;

„გამსესხებელი“ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სოპო გრუპი“, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საიდენტიფიკაციო კოდი: 405153159);

„მსესხებელი“ - ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილია დადოს „ხელშეკრულება“ საქართველოს კანონმდებლობისა და „გამსესხებლის“ კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია „ზოგად პირობებში“.

„აქცეპტი“ – „გამსესხებლის“ გაკეთებული პასუხი და მისი მოწონება, რაც გამოხატული და დადასტურებულია „მსესხებლისათვის“ „ხელშეკრულებისა“, მათ შორის სესხის „ძირითადი პირობების“, „ზოგადი პირობების“ და სხვა დოკუმენტების ელ-ფოსტაზე გაგზავნით; ასევე, „მსესხებლის ანგარიშზე“ „სესხის“ თანხის ჩარიცხვით.

„სესხი“ - თანხა, რომელსაც „გამსესხებელი“ „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად გადასცემს „მსესხებელს“ და რომელიც უნდა დაბრუნდეს „მსესხებლის“ მიერ „გამსესხებლისათვის“ ხელშეკრულების შესაბამისად.

„სესხის ვადა“ – სესხით სარგებლობის ფიქსირებული ვადა, რომელიც განისაზღვრება 30 დღით.

„ხელშეკრულება“ – „ზოგადი პირობები“ „სესხის“ „ძირითად პირობებთან“ ერთად, რომელიც გაგზავნილია „მსესხებლის“ ელ-ფოსტაზე და წარმოადგენს ერთიან „ხელშეკრულებას“ „გამსესხებელსა“ და „მსესხებელს“ შორის; ამასთან, დადებულია „მხარეთა“ შორის ელექტრონული ფორმით და აწესრიგებს ორმხრივ უფლებებსა და მოვალეობებს „სესხთან“ დაკავშირებით; ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დადგენილია, რომ „მხარეები“ გამოხატავენ „ხელშეკრულების“ დადების განზრახვასა და ნებას ელექტრონული ფორმით, რასაც შესაბამისად მოჰყვება „ხელშეკრულების“ ყველა პირობის დადასტურება და მათზე დათანხმება.

„სესხის განაცხადი“ – „გამსესხებლის“ მიერ შესავსები სპეციალური ფორმა, რომელიც ადასტურებს პოტენციური „მსესხებლის“ თავისუფალ სურვილსა და ნებას დადოს „ხელშეკრულება“. ამ ფორმის შევსება პოტენციური „მსესხებლის“ მიერ და გადაგზავნა „გამსესხებლისათვის“ ადასტურებს მის თანხმობას სესხის „ზოგად პირობებსა“ და „ძირითად პირობებზე“; აღნიშნული ასევე ადასტურებს „გამსესხებლის“ თანხმობას, რომ მისი პერსონალური მონაცემები დამუშავებულ იქნეს და გადამოწმდეს მონაცემთა სხვადასხვა ბაზაში, მათ შორის „კრედიტინფო საქართველოში“ და მონაცემთა სხვა ბაზებში. „სესხის განაცხადი“ შედგენილი უნდა იყოს “ზოგადი პირობების” მე-2 მუხლის დაცვით, გადაგზავნილ იქნეს „გამსესხებელთან“ და შეიცავდეს, მათ შორის, ინფორმაციას

„სესხის“ ოდენობისა და ვადის შესახებ; „სესხის განაცხადი“ შედგენილ უნდა იქნეს პოტენციური „მსესხებლის“ მიერ.

„სწრაფი გადარიცხვა“ - არის დამატებითი ნებაყოფლობითი მომსახურება, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც „მსესხებელს“ დამტკიცებული „სესხი“ გადაერიცხება იმავე დღეს, ნაცვლად 7 დღისა.

„სესხის საკომისიო“ – „მსესხებლის“ მიერ „სესხის“ გამოყენების საფასური, რომელიც განსაზღვრულია სესხის „ძირითადი პირობებით“ და ექვემდებარება „მსესხებლის“ მიერ გადახდას „სესხის ვადის“ დასრულებისას „სესხის“ „ძირითადი პირობების“ პირობების“ შესაბამისად.

„სესხის დაგვიანების საფასური“ – ყოველდღიური პირგასამტეხლოს სანაცვლო ფიქსირებული გადასახადი, რომელსაც „მსესხებელი“ იხდის „სესხის ვადის“ გადაცილების შემთხვევაში.

„ბანკი“ - კომერციული საბანკო ინსტიტუტი, რომელიც დადგენილი წესით ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;

„გამსესხებლის ანგარიში“ - საბანკო ანგარიში, რომელიც მითითებულია „ვებ-გვერდზე“;

„მსესხებლის ანგარიში“ - საბანკო ანგარიში, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა „მსესხებლის“ „იდენტიფიცირება და რომელიც გამოიყენება „გამსესხებლის“ მიერ „სესხის“ ჩასარიცხად.

„იდენტიფიცირება“ - პოტენციური „მსესხებლის“ მიერ „გამსესხებლისათვის“ 0.01 ლარის გადახდა, რაც ემსახურება „მსესხებლის“ იდენტიფიცირებას ან/და „მსესხებლის“ ვინაობისა და მისი „საბანკო ანგარიშის“ დადგენას სხვა საშუალებით, მაგ. ტელეფონით. პროცედურა, რაც გულისხმობს 0.01 ლარის გადარიცხვას, უნდა შესრულდეს „სესხის განაცხადის“ განხილვამდე.

„ვებ-გვერდი“ – „გამსესხებლის“ ვებ-გვერდი: [www.sohocredit.ge](http://www.sohocredit.ge), სადაც „მსესხებელი“, მათ შორის, ელექტრონულად რეგისტრირდება (პროფილის ავტომატური შექმნით) და ეთანხმება „ხელშეკრულებას“, „სესხის“ შესაბამისი „ზოგადი პირობებისა“ და „სესხის ძირითადი პირობების“ დადასტურებით.

„პაროლი“ - ციფრებისა და ასოების უნიკალური კომბინაცია, რომელიც შედგენილია „მსესხებლის“ მიერ „პროფილის“ შესაქმნელად და საბოლოოდ ადასტურებს მის პიროვნებას „პროფილში“ შესასვლელად.

„მხარეები“ – „გამსესხებელი“ და „მსესხებელი“ ერთდროულად მოხსენიებული, როგორც მხარეები.

„პირგასამტეხლო“ - გადასახდელი პროცენტული თანხა, რომელიც დარიცხვადია „სესხის“ დაფარვის ვადის გადაცილების გამო და „მსესხებელმა“ უნდა გადაუხადოს „გამსესხებელს“ ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

„პროფილი“ - ინდივიდუალური ვირტუალური სივრცე „ვებ-გვერდზე“, რომელზეც

„მსესხებელი“ იღებს წვდომას საკუთარი ელ-ფოსტისა და „პაროლის“ მითითების შემდეგ და რომელიც მომავალში გამოიყენება მისი იდენტიფიცირებისათვის და „გამსესხებლისგან“ მის მიერ მიღებული „სესხების“ მართვისათვის.

„სესხის ძირითადი პირობები“ – „სესხის“ ძირითადი პირობები და დათქმები, მათ შორის „სესხის“ ვადა, მოცულობა და უნიკალური ნომერი, რომელიც „მსესხებელს“ ეგზავნება როგორც „აქცეპტი“ ელ-ფოსტის მეშვეობით, რომელიც მითითებული არის ამ უკანასკნელის მიერ შესაბამის „სესხის განაცხადში“.

„მსესხებლის მიმდინარე დავალიანება“ – „მსესხებლის“ დავალიანების სრული მოცულობა „გამსესხებლის“ წინაშე დროის გარკვეულ მომენტში, მათ შორის „სესხი“, „სესხის საკომისიო“, „პირგასამტეხლო“ (არსებობის შემთხვევაში) და „ამოღების ხარჯები“.

„ამოღების ხარჯები“ – „გამსესხებლის“ ყველა ხარჯი, რომელიც გონივრულად არის გაწეული ამ უკანასკნელის მიერ გადაუხდელი „სესხის“ ამოსაღებად და დასაფარად, მათ შორის წერილობითი შეტყობინების ხარჯები, სატელეფონო ზარის ხარჯები, მოკლე ტექსტური შეტყობინებების ( SMS ) ხარჯები, ვალის ამომღები კომპანიის მომსახურების საფასური და სხვ.

## 2. ზოგადი დებულებები

2.1. „მსესხებელი“ „სესხის განაცხადის“ შევსებით ადასტურებს, რომ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

2.1.1. მის შესახებ წარდგენილი ინფორმაცია, ასევე, ცნობები მისი გადახდისუნარიანობის ან სხვა საკითხების შესახებ არის სწორი;

2.1.2. მისი ფინანსური მდგომარეობა არის სტაბილური და იგი შეძლებს „სესხიდან“ გამომდინარე საკუთარი ფინანსური ვალდებულების შესრულებას;

2.1.3. „მსესხებელი“ სრულად აცნობიერებს „ხელშეკრულებისა“ და „სესხის“ გაცემის წესებსა და პირობებს, აქვს „ხელშეკრულების“ დადების უნარი და ამას ახორციელებს საკუთარი სურვილით, ყოველგვარი ზეგავლენისაგან თავისუფლად, რაიმე ფორმით მუქარის გარეშე;

2.1.4. არის 20-დან 65 წლამდე ასაკის;

2.1.5. არის სრულად ქმედუნარიანი;

2.1.6. აქვს მუდმივი საცხოვრებელი საქართველოში და არის საქართველოს რეზიდენტი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

2.1.7. არ არის შეყვანილი მოვალეთა რეესტრში ან სხვა მსგავს საჯარო მონაცემთა ბაზაში, რომელიც ადასტურებს „მსესხებლის“ გადაუხდელ და დარღვეულ ფინანსურ ვალდებულებებს.

2.1.8. გაეცნო „ხელშეკრულების“ პირობებს და ისინი მისთვის მისაღებია;

2.1.9. მის შესახებ არსებული ყველა მონაცემი არის სწორი.

2.2. იმ შემთხვევაში, თუკი „გამსესხებელი“ დაადგენს, რომ ზემოთმოყვანილი კრიტერიუმები არ ან აღარ არის დაცული, მაშინ მას ეძლევა უფლება ერთპიროვნულად განაცხადოს უარი „სესხის“ გაცემაზე ან გამოაცხადოს „სესხი“ ვადამოსულად და დაუყოვნებლივ მოითხოვოს მისი დაბრუნება.

2.3. „ხელშეკრულების“ წარმატებით ძალაში შესვლის შემდგომ, „გამსესხებელი“

ვალდებულია, გადარიცხოს „სესხის“ დამტკიცებული თანხა „მსესხებლის ანგარიშზე“.

### 3. „ხელშეკრულების“ საგანი

„ხელშეკრულების“ მეშვეობით და მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, „გამსესხებელი“ „სესხს“ „მსესხებელზე“ გასცემს ლარში. ამასთან, „მსესხებელი“, თავის მხრივ, გამოთქვამს თანხმობას დაფაროს „სესხი“ ლარში „ხელშეკრულების“ პირობების თანახმად.

### 4. ძალაში შესვლა

4.1. „გამსესხებელსა“ და „მსესხებელს“ შორის „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მას შემდეგ, რაც „მსესხებელი“ გამოხატავს თანხმობას „ზოგად პირობებზე“ და „სესხის“ პირობებზე და შესაბამისი „სესხის“ თანხა გადარიცხება „გამსესხებლის ანგარიშიდან“.

4.2. „მხარეები“ ადასტურებენ და გამოთქვამენ თანხმობას მასზედ, რომ „ხელშეკრულება“ მხოლოდ მათ მიმართ და არ საჭიროებს უშუალო ხელმოწერას.

### 5. „სესხის“ მოთხოვნა, „იდენტიფიცირება“

5.1. წინამდებარე მე-5 მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, ყველა ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს მოქმედი საბანკო ანგარიში საკუთარ სახელზე და აკმაყოფილებს „ზოგად პირობებს“, უფლება აქვს გააკეთოს „სესხის“ განაცხადი.

5.2. პოტენციურმა „მსესხებელმა“, რომელსაც სურს მიიღოს „სესხი“, უნდა შეავსოს შესაბამისი „სესხის განაცხადი“ „ვებ-გვერდზე“, რაც გულისხმობს ამ განაცხადის ყველა ველის შევსებას/არჩევას. ამასთან, „მსესხებელი“ ცალსახად ადასტურებს, რომ მის მიერ „სესხის განაცხადში“ წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია არის ნამდვილი, ზუსტი და სრული. „მსესხებელი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი აცნობიერებს იმ შედეგებს, რომლებიც მოჰყვება არანამდვილი, არაზუსტი ან არასრული ინფორმაციის წარმოდგენას, მათ შორის იმას, რომ „გამსესხებელს“ ექნება უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულება“, მოითხოვოს „სესხის“ ვადამდე დაბრუნება, ასევე იმას, რომ მის მიმართ შესაძლებელია დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა. „სესხის განაცხადის“ წარდგენით „მსესხებელი“ ასევე იძლევა თანხმობას, რომ მისი პერსონალური მონაცემები დამუშავებული და გადამოწმებული იქნას სხვადასხვა მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, იმ მიზნით, რომ მოხდეს „სესხის განაცხადის“ დამტკიცება და „სესხის“ გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

5.3. „სესხის განაცხადის“ სრულად შევსებისას, „მსესხებელმა“ უნდა მიუთითოს საკუთარი ელ-ფოსტა და შეადგინოს უნიკალური „პაროლი“, რომელიც გამოყენებულ იქნება „მსესხებლის“ იდენტიფიცირებისათვის მისივე „პროფილის“ დახმარებით. ამასთან, მხარეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც „მსესხებელი“ შეარჩევს შესაბამის „პაროლს“, ეს უკანასკნელი ვალდებული ხდება, უზრუნველყოს საკუთარი „პაროლის“ უსაფრთხოება, მათ შორის დაიცვას ის მესამე პირთა მიერ არასანქცირებული გამოყენებისაგან. „გამსესხებელი“ არ იღებს რაიმე პასუხისმგებლობას იმ „სესხებზე“/ტრანზაქციებზე, რომლებიც განხორციელდა არაუფლებამოსილი მესამე პირების მიერ „მსესხებლის“ „პროფილზე“ წვდომით, „მსესხებლის“ განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედების შემთხვევაში.

5.4. პირველი „სესხის“ განაცხადის წარდგენისას სავალდებულოა შეიქმნას „მსესხებლის“ „პროფილი“. ყოველი შემდგომი „სესხის“ ასაღებად „მსესხებლის“ იდენტიფიცირება ხორციელდება მისი ელ-ფოსტისა და „პაროლის“ საშუალებით - როგორც ეს მოცემულია 5.3 ქვეპუნქტში. „მსესხებელი“ არის პასუხისმგებელი, რომ მისი „პაროლი“ იყოს უნიკალური და მის შესახებ ინფორმაცია დარჩეს კონფიდენციალური.

5.5. იმისათვის, რომ „მსესხებელმა“ დაადასტუროს „სესხის“ მიღების ნება, მან „სესხის განაცხადის“ შევსებასთან ერთად უნდა განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

5.5.1. პირველი „სესხის“ შემთხვევაში: გაიაროს იდენტიფიკაცია, რითაც დაადასტურებს საკუთარ ვინაობას და „მსესხებლის ანგარიშს“. აღნიშნული ინფორმაცია შეინახება „მსესხებლის“ „პროფილში“ მომავალი გამოყენებისათვის;

5.5.2. „სესხის თანხის“ არჩევისას „მსესხებელს“ შეუძლია ისარგებლოს „სწრაფი გადარიცხვის“ მომსახურებით, რისთვისაც უნდა მონიშნოს შესაბამისი ღილაკი.

5.5.3. ყოველი მომდევნო „სესხისათვის“: შევიდეს საკუთარ „პროფილში“ ელ-ფოსტისა და „პაროლის“ გამოყენებით და შემდგომ წარუდგინოს „სესხის განაცხადი“ „გამსესხებელს“.

5.5.4. მომდევნო „სესხის“ გაცემა მოხდება არსებული სესხის (ძირი თანხა, „სესხის საკომისიო“ და პირგასამტეხლო, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფარვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის გასვლის შემდეგ.

5.6. „გამსესხებელი“ „სესხის განაცხადის“ მიღების შემდეგ ვალდებულია გააკეთოს მისი შეფასება და გადაწყვიტოს, გაცემს თუ არა „სესხს“ „მსესხებელზე“. ყოველგვარი ბუნდოვანების გამოსარიცხად მხარეები აღნიშნავენ, რომ „გამსესხებელი“ არ არის ვალდებული დაასაბუთოს საკუთარი უარი „სესხის“ გაცემაზე, რასაც „მსესხებელი“ ასევე უპირობოდ ეთანხმება. „სესხის განაცხადის“ შეფასებისას „გამსესხებელი“ უფლებამოსილია გამოიყენოს შესაბამისი მონაცემთა ბაზები და საჯარო ინფორმაციის წყაროები, მათ შორის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს/სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზა, მოვალეთა რეესტრი, „კრედიტინფო საქართველო“ და ა.შ., ასევე, გადაამუშაოს „მსესხებლის“ პერსონალური ინფორმაცია, რაზეც ეს უკანასკნელი, ასევე, იძლევა თანხმობას. „გამსესხებელმა“ გადაწყვეტილება „სესხის განაცხადზე“ თანხმობის/უარის შესახებ უნდა მიიღოს „იდენტიფიცირების“/სათანადო „სესხის განაცხადის“ მიღების შემდეგ. „სესხის“ გაცემის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ „გამსესხებელი“ „მსესხებელს“ უგზავნის „სესხის“ „ძირითად პირობებს“.

5.7. თუკი „სესხის განაცხადის“ დამტკიცებამდე იცვლება „მსესხებლის“ მიერ წარმოდგენილი რაიმე ინფორმაცია, მაშინ „მსესხებელი“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს „გამსესხებელს“ ამის შესახებ. ამგვარი შეტყობინების განუხორციელებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს „ხელშეკრულების“ შეწყვეტა წინამდებარე ზოგადი პირობების მე-11 მუხლის შესაბამისად.

5.8. „სესხის განაცხადის“ წარდგენით „მსესხებელი“ ადასტურებს, რომ აღნიშნული მოქმედება არ არღვევს მის სხვა რაიმე სასესხო ვალდებულებას ან ამ ვალდებულების პირობებს და რომ „სესხის“ მოქმედების პერიოდისთვის მას გააჩნია აღნიშნული ვალდებულებების დაფარვისათვის საკმარისი შემოსავალი.

## 6. „სესხის“ თანხა და მისი გაცემა

6.1. „მსესხებელი“ უფლებამოსილია გამოიყენოს „სესხის“ თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ;

6.2. „გამსესხებელი“ „სესხის“ თანხას გადარიცხავს „მსესხებლის ანგარიშზე“.

6.3. „სესხი“ ჩაითვლება გაცემულად იმ დღეს, როდესაც მოხდება თანხის ჩამოწერა „გამსესხებლის“ ანგარიშიდან.

7. „სესხის საკომისიო“ და სხვა ხარჯები

7.1. „მსესხებელი“ ვალდებულია გადაიხადოს „სესხის საკომისიო“ „სესხის ძირითადი პირობების“ შესაბამისად.

7.2. „სესხის“ „ამოღების ხარჯები“ ითვლება „მსესხებლის“ „მიმდინარე დავალიანების“ ნაწილად. სააღსრულებო პროცედურის განხორციელების შემთხვევაში, „ამოღების ხარჯები“, „მსესხებლის“ „მიმდინარე დავალიანება“ და სააღსრულებო ხარჯები უნდა დაიფაროს სააღსრულებო წარმოების ფარგლებში „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად.

8. „სესხის“ დაბრუნება

8.1. „მსესხებელი“ ვალდებულია, დააბრუნოს „სესხი“ ერთჯერადი გადახდით „სესხის საკომისიოსა“ და „პირგასამტეხლოსთან“ ერთად, თუკი ასეთი არსებობს, „სესხის ვადის“ დასრულებისას.

8.2. „სესხის ვადა“ აითვლება იმ დღიდან, როდესაც მოხდება თანხის ჩამოწერა „გამსესხებლის ანგარიშიდან“.

8.3. „მსესხებელმა“ უნდა დააბრუნოს „სესხი“, „სესხის საკომისიო“ და „პირგასამტეხლო“ - ასეთის არსებობის შემთხვევაში - „გამსესხებლის ანგარიშზე“, რომელიც მითითებულია „ვებ-გვერდზე“.

8.4. „სესხის ძირითად პირობებს“ თან ერთვის შესაბამისი ინვოისი „სესხის“ გადახდის შესახებ. „მსესხებელი“ აქვე ადასტურებს, რომ ასეთი ინვოისი არის მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის მქონე.

8.5. „მსესხებლის“ ყველა ვალდებულება „გამსესხებლის“ წინაშე უნდა შესრულდეს უნაღდო ანგარიშსწორებით „გამსესხებლის ანგარიშზე“. ყველა ფინანსური ვალდებულების გადახდა „გამსესხებლის“ წინაშე უნდა მოხდეს ლარში. „მსესხებლის“ მიერ ვალდებულების შესრულება სხვა ნებისმიერ ვალუტაში ჩაითვლება გადახდის ვალდებულების დარღვევად, რაზეც „მსესხებელი“ გამოხატავს თანხმობას. ამასთან, „მხარეები“ ყოველგვარი ეჭვის გასაქარწყლებლად აღნიშნავენ, რომ არავითარი საპროცენტო სარგებელი არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს „მსესხებლის“ მიერ არასწორად ჩარიცხულ თანხებზე.

8.6. თუკი „სესხის“ დაბრუნების ვადა ემთხვევა საჯარო დღესასწაულს ან უქმე დღეს (როდესაც, როგორც წესი, საქართველოში „ბანკები“ დახურულია), მაშინ დაბრუნების დღედ ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

8.7. „მსესხებლის“ ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, როცა იგი გადაიხდის „სესხის“ ძირს, „სესხის საკომისიოს“ და სხვა გადასახდელებს (მაგ. „პირგასამტეხლოს“) - ასეთის არსებობის შემთხვევაში - და ისინი ჩაირიცხება „გამსესხებლის ანგარიშზე“.

8.8. სესხის დაფარვისას „მსესხებელი“ ვალდებულია, საბანკო გადარიცხვის დანიშნულების ველში მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია: „მსესხებლის“ პირადი ნომერი და „სესხის“ უნიკალური ნომერი.

8.9. „გამსესხებელს“ არ ეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა „მსესხებლის“ მიერ „სესხის“ „ხელშეკრულების“ პირობებთან შეუსაბამოდ დაფარვაზე. არასწორად ან შეცდომით გადახდის ყველა რისკი ეკისრება „მსესხებელს“. იმ შემთხვევაში, თუკი „გამსესხებლის“ მიერ ვერ ხერხდება „სესხის“ დაფარვის იდენტიფიცირება, მაშინ აღნიშნული „სესხი“ ვერ ჩაითვლება დაფარულად და „გამსესხებელს“ მიენიჭება უფლება, დაარიცხოს „მსესხებელს“ „პირგასამტეხლო“ და სხვა გადასახდელი, რომლებიც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებით“.

8.10. „მსესხებელი“ თანახმაა, რომ „სესხის“ დაბრუნება მოხდება დაფარვის შემდეგი რიგითობით: დარიცხული „პირგასამტეხლო“ და სხვა ხარჯები/დანაკარგები, რომლებიც გაწეულ იქნა „გამსესხებლის“ მიერ მოცემულ „სესხთან“ დაკავშირებით (თუკი ასეთი არსებობს), „სესხის საკომისიო“, „სესხის“ ძირი თანხა.

8.11. „მსესხებელს“ ნებისმიერ დროს შეუძლია წინსწრებით დაფაროს „სესხი“ და ამისათვის არ ესაჭიროება „გამსესხებლის“ თანხმობა. „სესხი“ წინსწრებით გადახდილად ჩაითვლება მაშინ, როდესაც „სესხის“ ძირი და „სესხის საკომისიო“ სრულად ჩაირიცხება „გამსესხებლის ანგარიშზე“. ამასთან, „მსესხებელი“ ეთანხმება პირობას, რომ „სესხის საკომისიო“ წარმოადგენს „სესხის“ გაცემის საფასურს და, შესაბამისად, მისი გადახდა უნდა მოხდეს სრულად, როგორც „სესხის ძირითადი პირობების“ შესაბამისად, ასევე „სესხის“ ვადამდე დაფარვის შემთხვევაშიც.

## 9 „მხარეთა“ პასუხისმგებლობა, „პირგასამტეხლო“

9.1. თუკი „მსესხებელი“ ვერ შეძლებს „სესხის“ დროულად დაფარვას როგორც ეს განსაზღვრულია „ხელშეკრულებით“, მაშინ „გამსესხებელი“ უფლებამოსილია, დაარიცხოს და, შესაბამისად, „მსესხებელი“ ვალდებულია, გადაიხადოს „პირგასამტეხლო“ „გადახდის ვადის“ გადაცილებისათვის „მსესხებლის“ მიმდინარე დავალიანების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. „პირგასამტეხლოს“ გადახდა არ ათავისუფლებს „მსესხებელს“ „სესხის“ გადახდის ვალდებულებისაგან.

9.2. თუ „მსესხებელი“ ვერ შეძლებს სესხის ძირი თანხის და დარიცხული პროცენტის დაფარვას, იგი უფლებამოსილია, გადაიხადოს „სესხის დაგვიანების საფასური“, რაც საშუალებას მისცემს, 7, 14 ან 30 დღით თავიდან აიცილოს ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლოს გადახდა. 7 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირი თანხის 6%, 14 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირი თანხის 13% და 30 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში – ძირი თანხის 24 %.

9.3. „მსესხებელმა“ უნდა აუნაზღაუროს „გამსესხებელს“ ყველა ხარჯი და დანაკარგი, რომელიც გამოწვეულია მის მიერ არასწორი ან არაზუსტი ინფორმაციის მიწოდებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9.4. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას არსებული დავალიანების დროული დაფარვა, „გამსესხებელს“ ეძლევა უფლება, დაუკავშირდეს „მსესხებელს“ ვადაგადაცილებულ თანხებთან დაკავშირებით ამ უკანასკნელის საკონტაქტო რეკვიზიტებზე, რომლებიც წარმოადგენილია უშუალოდ „მსესხებლის“ მიერ ანდა მოპოვებულია „გამსესხებლის“ მიერ (მათ შორის მობილური ტელეფონის ნომერი და ელ-ფოსტა). „გამსესხებელი“ არ არის პასუხისმგებელი, თუკი „სესხის“ ვადაგადაცილების შესახებ ინფორმაცია შემთხვევით ან განზრახ ცნობილი გახდება მესამე პირებისათვის.

9.5. ამ პირობების მე-8 მუხლის მიზნებისათვის „გამსესხებელი“ უფლებამოსილია,

გაუგზავნოს „მსესხებელს“ წერილობითი შეტყობინება ფოსტის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში „მსესხებელი“ იღებს ვალდებულებას, სრულად აუნაზღაუროს „გამსესხებელს“ აღნიშნული გზავნილისთვის გაწეული ხარჯები.

9.6. „მსესხებლის“ „მიმდინარე დავალიანების“ დაფარვის უზრუნველსაყოფად „გამსესხებელს“ ეძლევა უფლება, გადასცეს „მსესხებლის“ პერსონალური ინფორმაცია მესამე პირებს „გამსესხებლის“ ინტერესების დაცვის მიზნით. ამასთან, „მსესხებელი“ კისრულობს ვალდებულებას, „აუნაზღაუროს“ „გამსესხებელს“ ამოღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ან სხვა მსგავსი ხარჯი, რომელიც გაწეული იქნება „გამსესხებლის“ მიერ ასეთი შემთხვევების დროს და აღნიშნული ხარჯი დაემატება ამოღების ხარჯებს.

9.7. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „გამსესხებელს“ ეძლევა უფლება, გადასცეს საკუთარი უფლებები და მოვალეობები მესამე პირებს, რაზეც „მსესხებელი“ წინასწარ უპირობოდ აცხადებს თანხმობას. „მსესხებელს“ არა აქვს უფლება გადასცეს საკუთარი უფლებები და მოვალეობები მესამე პირებს „გამსესხებლის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.8. „მხარეები“ სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, რომელიც ხელს უშლის მათ საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაში „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად. ფორს-მაჟორად მიიჩნევა მოვლენა, რომელიც „მხარეთა“ გავლენის სფეროს გარეთაა; ამასთან, შეუძლებელია მისი წინასწარ განჭვრეტა ან თავიდან აცილება, მათ შორის ბუნებრივი კატასტროფები, როგორცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა დამანგრეველი მოვლენები; როგორცაა: ომი ან სხვა სამხედრო მოქმედებები. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად „მხარეები“ აღნიშნავენ, რომ არცერთი საკანონმდებლო აქტი (გარდა ისეთისა, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს ფორს-მაჟორული სიტუაციის არსებობიდან) არ უნდა ჩაითვალოს ფორს-მაჟორად. „მხარეებს“ შეუძლიათ მიუთითონ ფორს-მაჟორზე იმ მომენტამდე, სანამ ის ჯერ კიდევ გრძელდება და მათ უნდა განაახლონ საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც ასეთი ფორს-მაჟორული გარემოება აღარ იარსებებს.

## 10. პერსონალური მონაცემები

10.1. „გამსესხებელს“ ენიჭება უფლება დაამუშაოს „მსესხებლის“ პერსონალური მონაცემები (დამუშავების მაგალითებია: მონაცემების შეგროვება, შენახვა, აღრიცხვა, რეგისტრაცია, მონაცემთა გადაცემა და ა.შ.), გადასცეს ისინი მესამე პირებს - როგორც ეს მოცემულია ქვემოთ, ასევე, მიიღოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია. ინფორმაცია შესაძლებელია გაცემულ იქნეს მესამე პირებზე: ა) „გამსესხებლის“ კომპანიის წილების გაყიდვის ან მთელი კომპანიის (ბიზნესის) გაყიდვის შემთხვევაში, ბ) უფლებამოსილი დაწესებულებების მოთხოვნის შემთხვევაში, გ) კომერციულ საინფორმაციო ბიუროებზე მიწოდების შემთხვევაში (მაგ. „კრედიტინფო საქართველო“), დ) თაღლითობასთან მებრძოლ სააგენტოზე ან სხვა მსგავს ორგანიზაციაზე, რომელიც ცენტრალიზებულად იღებს ინფორმაციას ერთმანეთთან დასაკავშირებლად, ე) „გამსესხებლის“ ფინანსურ ჯგუფში შემავალ პირზე მიწოდების შემთხვევაში, ვ) „გამსესხებლის“ ბიზნეს პარტნიორებზე ან სხვა მსგავს ორგანიზაციებზე მიწოდების შემთხვევაში, ზ) გარე კომპანიებზე მიწოდების შემთხვევაში, რომლებიც დაკავებულნი არიან დავალიანების ამოღების მომსახურებით, თ) ნებისმიერი სხვა პირისათვის ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, ვისი მონაწილეობაც აუცილებელია ხელშეკრულების პირობების



შესასრულებლად (მაგ. ბანკები) და ვინც მიიღო ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ შემდეგი ელ-მისამართიდან: <https://www.sohocredit.ge/privacy-policy>

10.2. აღნიშნული „ხელშეკრულების“ დადებით „მსესხებელი“ აცხადებს თანხმობას - იმ მიზნით, რომ მის მიმართ გაწეულ იქნეს ჯეროვანი მომსახურება, ასევე, „გამსესხებლის“ მიერ სხვა მოქმედებების განსახორციელებლად და დავალიანების დაფარვის/ამოღების ან სხვა მსგავსი მიზნების უზრუნველსაყოფად - რომ მისი პერსონალური ინფორმაცია, გარდა ინფორმაციისა, რომელიც მოპოვებულ იქნა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, გამჟღავნებულ იქნეს შეუზღუდავად „გამსესხებლის“ შიდა პერსონალისათვის, ასევე „გამსესხებლის“ ჯგუფში შემავალი კომპანიებისათვის.

10.3. აღნიშნული „ხელშეკრულებით“ „მსესხებელი“ აცხადებს, რომ ეთანხმება შემდეგს: ა) „სესხის განაცხადთან“ დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის გამოყენებასა და დამუშავებას „მსესხებლის“ გადახდისუნარიანობის შემოწმების მიზნით, ასევე, იმ ინფორმაციის დამუშავებასა და შეგროვებას, რომელიც უკავშირდება „მსესხებლის“ არსებულ ვალდებულებებს, საკრედიტო ისტორიას, ასევე, ინფორმაციის გადაცემას ან ჩამოტვირთვას „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზებში, ბ) სხვა დარჩენილი და აუცილებელი ინფორმაციის/მონაცემების გადაცემას „კრედიტინფო საქართველოსთვის“ იმგვარად, რომ „კრედიტინფო საქართველომ“ და უშუალოდ მან შეძლონ სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება, გ) „მსესხებლის“ შესახებ არსებული ინფორმაციის გადაცემასა და მონაცემების მოპოვებას სხვა ნებისმიერი მონაცემთა ბაზიდან და რეესტრიდან, დ) „ხელშეკრულების“ შესახებ ინფორმაციის, ასევე, არაჯეროვანი შესრულების შესახებ ინფორმაციის გადაცემას მესამე პირებზე - აღნიშნული ტიპის ინფორმაციის გადაცემა მოხდება, მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაცულ იქნეს „გამსესხებლის“ ინტერესები.

10.4. ინფორმაცია, რომლის გადაცემაც ხდება, უნდა შეიცავდეს მინიმუმ: „მსესხებლის“ პერსონალურ მონაცემებს, რომელიც მისი იდენტიფიცირებისათვის გამოიყენება, ინფორმაციას „სესხის“ ოდენობაზე (ვალდებულებებზე), მათ შორის „სესხის საკომისიოზე“, ვადაგადაცილებასთან დაკავშირებულ ფინანსური ვალდებულებებს, საჭირო ინფორმაციას სასამართლო წარმოებისათვის და გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

10.5. მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია „სესხთან“ (მათ შორის „მსესხებლის“ პერსონალური მონაცემები) და წარმოდგენილია „მსესხებლის“ მიერ, შეიძლება დამუშავდეს „გამსესხებლის“ მიერ მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, რაც გულისხმობს „ხელშეკრულების“ ჯეროვან შესრულებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მას შემდეგ, რაც მიიღწევა „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე მიზნები, პერსონალური მონაცემები ილუქება და ინახება იმგვარად, რომ გამორიცხულ იქნეს „მსესხებლის“ იდენტიფიცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არის დადგენილი.

10.6. „მსესხებელი“ დამატებით თანახმაა, რომ მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს მარკეტინგული მიზნებისათვის. ამასთან, „გამსესხებელი“, თავის მხრივ, აძლევს უფლებას „მსესხებელს“, რომ მისი ამგვარი თანხმობა გამოთხოვილ იქნეს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის თანახმად.

11. სხვა პირობები

11.1. „გამსესხებელს“ შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ შემდეგ შემთხვევებში: ა) „მსესხებელმა“ გადააცილა თანხის გადახდის ვადას 15 დღეზე მეტი ხნით, ბ) „სესხი“ გაიცა იმ პირობებში, როდესაც „მსესხებელმა“ წარმოადგინა არასწორი, არაზუსტი ან არასრული ინფორმაცია, გ) „მსესხებელი“ გახდა გადახდისუუნარო. „ხელშეკრულების“ შეწყვეტა ნიშნავს, რომ „მსესხებელმა“ უნდა გადაიხადოს ყველა გადასახდელი, მათ შორის, ძირითადი თანხა, საკომისიო, ასევე, სხვა ნებისმიერი თანხა, რომელიც დარიცხულია „ხელშეკრულების“ საფუძველზე.

11.2. „მხარეთა“ ყველა კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ელ-ფოსტის, მობილური ტელეფონის (SMS), ან ფოსტის საშუალებით შემდეგ რეკვიზიტებზე: ა) „მსესხებლის“ მიერ მითითებული საკუთარ „სესხის განაცხადში“, ბ) „გამსესხებლის“ მიერ მითითებულ „ვებ-გვერდზე“.

11.3. „მხარეთა“ ყველა მიმოწერა უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე.

11.4. „ხელშეკრულებაში“ ცვლილებებისა და შესწორებების შეტანას გააჩნია იურიდიული ძალა, თუკი ისინი განხორციელებულია ისეთივე ფორმითა და საშუალებით (ელექტრონულად), როგორც თავად აღნიშნული „ხელშეკრულება“.

11.5. „მხარეთა“ შორის წამოჭრილი დავები უნდა გადაწყდეს მათ შორის გამართული კეთილსინდისიერი მოლაპარაკების შედეგად. თუკი, აღნიშნული მოლაპარაკება ვერ გამოიღებს შედეგს, თითოეულ მათგანს შეუძლია მიმართოს საქართველოს განსჯად სასამართლოს. ამასთან, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს დაუყოვნებლივ აღსრულებას, რაც გამომდინარეობს „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 268-ე მუხლის 11 ნაწილიდან.